**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა №2**

**ქ. თბილისი** **2018 წლის 23 თებერვალი**

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:** 1. შაბურიშვილი შოთა 2. თოდუა ნუგზარი 3. ბარბაქაძე ხათუნა 4. გოგინავა უშანგი 5. თუთბერიძე ბეჟანი 6. მაჭავარიანი ლია 7. გეგეჭკორი არნოლდი 8. სამსონია შოთა 9. ცისკაძე მარიამი 10. კვირიკაშვილი ბახვა 11. ოქიტაშვილი გიორგი 12. ართქმელაძე თორნიკე 13. მარველაშვილი ვლადიმერი 14. ქიტუაშვილი თინა 15. ხოდელი ნოდარი 16. წერეთელი მარი 17. შამილიშვილი მანანა 18. ტუკვაძე ალექსანდრე 19. შევარდნაძე თორნიკე 20. ჟვანია ირინე 21. დადეშქელიანი ბექა 22. ლორია კახაბერი 23. გორდეზიანი ლევანი 24. გელოვანი ნანი 25. თაბუაშვილი აპოლონი 26. ბრაჭული ირაკლი 27. ოთხმეზური გიორგი 28. პაიჭაძე თამარი 29. სამხარაძე ლაშა 30. კეჟერაშვილი შოთა 31. ღარიბაშვილი ირაკლი 32. სუმბაძე ციური 33. ქადეიშვილი თორნიკე 34. წაქაძე სევერიანი 35. რუსიაშვილი გიორგი 36. იოსელიანი ხათუნა 37. ახალბედაშვილი ლილი 38. ხეცურიანი ნათელა 39. ხუციშვილი მარინე 40. ნემსაძე ადა 41. ჯობავა თამარი (დანართი 1)

**სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები:** 1. გიორგი შარვაშიძე 2. გიორგი ღვედაშვილი 3. დავით კერესელიძე 4. ომარ ფურთუხია 5. ირინე ქურდაძე 6. მარინე მინდორაშვილი 7. ელგუჯა მექვაბიშვილი 8. ამირან ბერძენიშვილი 9. ალექსანდრე კუხიანიძე 10. დავით გოცირიძე 11. ქეთევან ნადირაძე 12. ნინო ოკრიბელაშვილი 13. პაატა იმნაძე 14. გია ლობჟანიძე 15. ნუგზარ შავლაყაძე 16. თამაზ ყარალაშვილი 17. მედეა ღლონტი 18. ნოდარ ცინცაძე 19. დავით მერკვილაძე 20. მურმან კვინიკაძე 21. რევაზ შანიძე 22. ნიკოლოზ ავაზაშვილი (დანართი 2)

**დღის წესრიგი:**

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებების განხილვა
2. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა

თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №50/2018 დადგენილების დამტკიცება

3. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებების თაობაზე აკადემიური საბჭოს დადგენილებების დამტკიცება

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამხმარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის დებულებისა და დებულებაში ცვლილებების დამტკიცების თაობაზე აკადემიური საბჭოს დადგენილებების დამტკიცება

5. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №45/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №51/2018 დადგენილების დამტკიცება

6. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №64/2018 დადგენილების დამტკიცება

7. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცება

8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიის განხილვა

9. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის თაობაზე მოხსენების მოსმენა

***დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.***

*1. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილების პროექტი. მისი განმარტებით, ცვლილებები განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებებითა და ავტორიზაციის ახალი სტანდარტით. პროექტთან დაკავშირებით გაიმართა კონსულტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.*

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ განაცხადა, რომ წესდების ცვლილებების პროექტი განხილულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ შექმნილ წესდების ცვლილებებზე მომუშავე დროებით ჯგუფშიც.

***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:***

*მომხრე: 41*
*წინააღმდეგი: 0*

**მიღებული გადაწყვეტილება:** 1. დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებები (დანართი 3). 2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების ცვლილებები დასამტკიცებლად გადაეგზავნოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №50/2018 დადგენილება. მისი განმარტებით, გეოლოგიის ინსტიტუტი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისთვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს და მას უკვე ამის გათვალისწინებით ენიჭება შესაბამისი სტატუსი.

***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:***

*მომხრე: 41*
*წინააღმდეგი: 0*

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №50/2018 დადგენილება (დანართი 4).

3. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულებაში ცვლილებების თაობაზე აკადემიური საბჭოს დადგენილებები. მისი განცხადებით, დებულებათა ცვლილებები განპირობებულია საკანონმდებლო ცვლილებებით, ასევე, ავტორიზაციის ახალი სტანდარტით.

***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:***

*მომხრე: 41*
*წინააღმდეგი: 0*

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს: 1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის №148/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №38/2018 დადგენილება (დანართი 5); 2. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №132/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №39/2018 დადგენილება (დანართი 6); 3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო -კვლევითი ერთეულის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“

აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №133/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №49/2018 დადგენილება (დანართი 7).

4. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგიერთი დამხმარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის დებულებისა და დებულებაში ცვლილებების დამტკიცების თაობაზე აკადემიური საბჭოს დადგენილებები. მისი განმარტებით დებულებების ცვლილებები და ახალი დებულებების მიღება განპირობებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებითა და ავტორიზაციის ახალი სტანდარტით.

***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:***

***მომხრე: 41***
***წინააღმდეგი: 0***

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს: 1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 მარტის №35/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №40/2018 დადგენილება (დანართი 8); 2. „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის №49/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №41/2018 დადგენილება (დანართი 9); 3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 მარტის №40/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №42/2018 დადგენილება (დანართი 10); 4. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო

ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №113/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №43/2018 დადგენილება (დანართი 11); 5. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 ოქტომბრის №95/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №44/2018 დადგენილება (დანართი 12); 6. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №112/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №45/2018 დადგენილება (დანართი 13); 7. „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 აპრილის №60/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №52/2018 დადგენილება (დანართი 14); 8. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 აპრილის №43/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №53/2018 დადგენილება (დანართი 15); 9. „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 ნოემბრის №124/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №54/2018 დადგენილება (დანართი 16); 10. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №95/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018

წლის 19 თებერვლის №55/2018 დადგენილება (დანართი 17); 11. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 9 ივნისის №51/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №56/2018 დადგენილება (დანართი 18); 12. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №31/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №57/2018 დადგენილება (დანართი 19); 13. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №30/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №58/2018 დადგენილება (დანართი 20); 14. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის" შექმნის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის №5/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №59/2018 დადგენილება (დანართი 21); 15. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიისა და ბიზნეს ინკუბატორის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №60/2018 დადგენილება (დანართი 22); 16. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №61/2018 დადგენილება (დანართი 23); 17. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ლექსიკოგრაფიული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №62/2018 დადგენილება (დანართი 24); 19. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის

სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №63/2018 დადგენილება (დანართი 25).

5. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ წარმოადგინა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №45/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №51/2018 დადგენილება. მულტიმედია ცენტრი შევიდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შემადგენლობაში, რაც აისახა კიდევ ფაკულტეტის დებულებაში, რომელიც წინა სხდომაზე დაამტკიცა წარმომადგენლობითმა საბჭომ. წარმოდგენილი დადგენილება ამ პროცედურის დასკვნითი ეტაპია.

***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:***

***მომხრე: 41***
***წინააღმდეგი: 0***

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №45/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №51/2018 დადგენილება (დანართი 26).

6. პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ნათელა ლაცაბიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური

პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №64/2018 დადგენილება. მისი განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობამ გაითვალისწინა აფილირებული აკადემიური პერსონალის ინსტიტუტი, ხოლო აფილირების წესის განსაზღვრა უნივერსიტეტებს მიანდო. აკადემიური საბჭოს დადგენილებით, უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი ვეღარ დაიკავებს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობას, ხოლო სხვა უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვა არაუმეტეს 6 საათის მოცულობით შეეძლება.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, გიორგი ოთხმეზურის შეფასებით, აღნიშნული დადგენილებით მნიშვნელოვნად იზღუდება პროფესორის უფლებები. „ა“ და „ბ“ კატეგორიის ხელშეკრულებები ისედაც დისკრიმინაციულ გარემოს ქმნიან, ახალი დადგენილებით კი შეზღუდვები კიდევ უფრო იმატებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირინე დარჩიამ განმარტა, რომ აფილირება უნივერსიტეტის ინიციატივა არაა და იგი ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის ნაწილია. ამ ინსტიტუტის მიზანია, აფილირებული პროფესორის აკადემიური საქმიანობის შედეგად შექმნილი სამეცნიერო პროდუქცია კონკრეტულ უნივერსიტეტთან ასოცირდებოდეს და კვლევაში ეთვლებოდეს.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, გიორგი ღვედაშვილმა განაცხადა, რომ „ა“ კატეგორიის ხელშეკრულების შემთხვევაში აფილირება ფაქტობრივად არაფერს ცვლის, ამ კატეგორიის პროფესორებს ისედაც ეკრძალებოდათ სხვა უნივერსიტეტებში სწავლება. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ დასძინა, რომ აკადემიური საბჭოს წარმოდგენილი დადგენილების შინაარსის 60-70% საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებიდანაა გადმოღებული, შესაბამისად, ეს წესი არსებითად ზოგად მოწესრიგებას იმეორებს.

რექტორმა, გიორგი შერვაშიძემ განაცხადა, რომ აფილირება ნათელ სურათს მოგვცემს, თუ რომელი უნივერსიტეტი რა კვლევას აწარმოებს და რა მოცულობით. აღნიშნული აისახება, ასევე, რეიტინგებზე. 6 საათიანი შეზღუდვა მომავალში აუცილებლად გადაიხედება, ამ საკითხზე უკვე მიმდინარეობს კონსულტაცია. უნივერსიტეტი აპირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაც მიაწოდოს საკუთარი ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა - არნოლდ გეგეჭკორმა და ირაკლი ბრაჭულმა, ასევე, აკადემიური საბჭოს წევრებმა - დავით გოცირიძემ და პაატა იმნაძემ.

***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:***

***მომხრე: 41***
***წინააღმდეგი: 0***

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №64/2018 დადგენილება (დანართი 27).

7. დაცვის სამსახურის უფროსმა, გიორგი გორაშვილმა წარმოადგინა დაცვის სამსახურის დებულების პროექტი. მისი განმარტებით, დებულება ტექნიკური და შინაარსობრივი თვალსაზრისით დაიხვეწა, თანამშრომლებს შორის ზედმიწევნით გადანაწილდა ფუნქციები.

***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:***

***მომხრე: 41***
***წინააღმდეგი: 0***

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის დებულება (დანართი 28).

8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირინე დარჩიამ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო უნივერსიტეტის მისიისა

და სტრატეგიის პროექტები. მისი განმარტებით, ავტორიზაციის ახალი სტანდარტის გათვალისწინებით, აუცილებელია უნივერსიტეტის ახალი მისიისა და სტრატეგიის ჩამოყალიბება. ამ მიზნით შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელმაც დოკუმენტთან დაკავშირებით 50-ზე მეტი გამოხმაურება და კომენტარი მიიღო. დოკუმენტი წინასწარ დაეგზავნა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს და თუ მათგან რაიმე წინადადება ან რეკომენდაცია იქნება, სამუშაო ჯგუფი მაქსიმალურად შეეცდება, ეს ყოველივე დოკუმენტშიც აისახოს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ირაკლი ბრაჭულმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიის სამუშაო ჯგუფს. მისი განცხადებით, სასურველია, მისიაში აისახოს „უნივერსუმის" განმარტება, ვინაიდან უნივერსიტეტის ამოსავალი იდეა სწორედ სამყაროს შემეცნებაა. ასევე, სასურველია, მისიის ტექსტი ახალი ცოდნის შექმნისა და გადაცემის შესახებ წინადადებით იწყებოდეს, ვინაიდან აღნიშნული უნივერსიტეტის უმთავრესი ფუნქციაა.

აკადემიური საბჭოს წევრი ნოდარ ცინცაძე დაეთანხმა ირაკლი ბრაჭულის მოსაზრებას და დასძინა, რომ შესაძლებელია ამ ფუნქციის კიდევ უფრო დაზუსტება - უნივერსიტეტის უმთავრესი მისია კარგი სტუდენტების აღზრდაა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, არნოლდ გეგეჭკორმა განაცხადა, რომ „ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები" აუცილებლად უნდა დაუკავშირდეს უნივერსიტეტის დამფუძნებლების ტრადიციას. ამიტომაც, სასურველია, მისიის პროექტის პირველი და მეორე პუნქტების გარკვეული შერწყმა, ჰიბრიდიზაცია.

***საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:***

***მომხრე: 41***
***წინააღმდეგი: 0***

**მიღებული გადაწყვეტილება:** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიის თაობაზე ინფორმაცია მიღებულ იქნეს ცნობად.

9. სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის უფროსმა, ხათუნა ცხადაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო ცენტრის საქმიანობა, ასევე, დაგეგმილი პროექტები და ღონისძიებები.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბახვა კვირიკაშვილმა, აკადემიური საბჭოს წევრმა, ნოდარ ცინცაძემ და ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ნუნუ ოვსიანიკოვამ.

საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა**

**2018 წლის 23 თებერვალი**

**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- აბესაძე ნინო
- ბარბაქაძე ხათუნა

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- ბერუაშვილი ანზორი
- გაგელიძე ტარიელი
- შვანგირაძე მათე
- შუბითიძე ვლადიმერი

## ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**პროფესორები:**

- გოგინავა უშანგი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა
- სამსონია შოთა

**სტუდენტები:**

- ბახტურიძე პაატა
- ბასილაია ანანო
- კვირიკაშვილი ბაჩანა

## იურიდიული ფაკულტეტი

**პროფესორები:**

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა
- გარიშვილი მარინა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- ონიანი თამარი
- ოქიტაშვილი გიორგი
- ართქმელაძე თორნიკე

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ქიტუაშვილი თინა
- ხოდელი ნოდარი
- ჩხაიძე ზურაბ

სტუდენტები:

- თამარ ჩხაიძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა
- ტუკვაძე ავთანდილი

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა
- შევარდნაძე თორნიკე

**ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი**

პროფესორები:

- ჟვანია ირინე
- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა
- თოფურია სალომე

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი

- პაიჭაძე თამარი
- შარაბიძე თამარი

**სტუდენტები:**

- ჯებაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა
- კეჟერაშვილი შოთა
- მურღულია ირაკლი

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

- ღარიბაშვილი ირაკლი

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

- სუმბაძე ციური

ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

- ბაშელეიშვილი ლევანი

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

- ქადეიშვილი თორნიკე

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი**

- წაქაძე სევერიანი

**ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი**

- ხომერიკი გიორგი

**თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი**

- რუსიაშვილი გიორგი

**ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი**

- იოსელიანი ხათუნა

**კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი**

- ახალბედაშვილი ლალი

**მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი**

- ალანია ვიქტორი

**პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი**

**პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი**

- ხეცურიანი ნათელა

**რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი**

- ხუციშვილი მარინე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

- ნემსაძე ადა

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

- მიხეილ რუხაია

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

- თამარ ჯობავა

დანართი 2

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია**
**2018 წლის 23 თებერვალი**

- გიორგი შარვაშიძე
- გიორგი ღვედაშვილი
- დავით კერესელიძე
- ომარ ფურთუხია
- ირმა ხარშილაძე
- ვასილ გონაშვილი
- ირინე ქურდაძე
- რუსუდან სანაძე
- ანასტასია ქიტიაშვილი
- მაია მესტვირიშვილი
- მარინე მინდორაშვილი
- ავთანდილ სილაგაძე

- ელგუჯა მექვაბიშვილი
- ამირან ბერძენიშვილი
- ალექსანდრე კუხიანიძე
- ხათუნა მაისაშვილი
- დავით გოცირიძე
- აკაკი ყულიჯანიშვილი
- ქეთევან ნადირაძე
- ნინო ოკრიბელაშვილი
- პაატა იმნაძე
- გია ლობჟანიძე
- ერეკლე გამყრელიძე
- ნუგზარ შავლაყაძე
- თამაზ ყარალაშვილი
- ავთანდილ ამირანაშვილი

- გაგა ლომიძე
- მარინე ზაუტაშვილი
- ზურაბ ცაგარელი
- მედეა ღლონტი
- მამუკა ხუსკივაძე
- ნოდარ ცინცაძე
- დავით მერკვილაძე
- მურმან კვინიკაძე
- ნათელა ანანიაშვილი
- გოჩა ფერაძე
- რევაზ შანიძე
- ნიკოლოზ ავაზაშვილი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის**
**ბრძანება №**
**2018 წლის ქ. თბილისი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 11/09/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016655) და ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესდების:

**1. მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს.**

**2. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის:**
**ა) ,,მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
,,მ) ადგენს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების, ასევე ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარების წესს;“.

**ბ) ,,ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
,,ნ) ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებას, რომელიც ასევე მოიცავს სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესს;“.

**გ) ,,ნ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,$ნ^1$“ ქვეპუნქტი:**
,,$ნ^1$) ამტკიცებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების შერჩევის კრიტერიუმებსა და წესს;“.

**დ) „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„ტ) ადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს გადაცილებული პირის არჩევის და თანამდებობიდან გათავისუფლების, საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდებების მინიჭების პირობებს.“.

**3. მე-20 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„ე) უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთან ერთად შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;“.

**4. 23-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.**

**5. 23[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნქტი:**
„ზ[1]) ფაკულტეტთან ერთად შეიმუშაოს სადისერტაციო საბჭოს დებულება და დასამტკიცებლად წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს;“.

**6. 32-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
**„მუხლი 32. აკადემიური პერსონალის შრომითი ურთიერთობები და აკადემიური წოდებები**
1. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის დაცვით.
2. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, უნივერსიტეტის ან/და მეცნიერების ან/და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის შეიძლება მიენიჭოს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ან ემერიტუსის წოდება.
3. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას აკადემიური საბჭო იღებს რექტორის, ფაკულტეტის საბჭოს ან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ხოლო ემერიტუსის წოდების მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას – ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.
4. ემერიტუსის წოდების მქონე პირს იმავდროულად არ შეიძლება ეკავოს იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობა.
5. საპატიო დოქტორისა და ემერიტუსის წოდებების მინიჭების პირობები, განისაზღვრება აკადემიური საბჭოს მიერ.
6. ემერიტუსის წოდების მქონე პირს შესაძლებელია მიეცეს ანაზღაურება.”.

**7. 41-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 41[1] მუხლი:**
**„მუხლი 41[1]. ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისთვის აღიარება**

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის.

2. აღიარებას შეიძლება დაექვემდებაროს იმ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვა და სწავლება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. კრედიტების აღიარების მიზნით უნივერსიტეტი ადგენს სტუდენტის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
4. კრედიტების აღიარება ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.".

**8. 43-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის 43$^1$ მუხლი:**

**,,მუხლი 43$^1$. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო**

1. უნივერსიტეტში მოქმედებს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო.
2. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.
3. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
4. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შედგენისა და მისი თავმჯდომარის არჩევის წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარდგინებით, აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.
5. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შედგება უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისაგან, აგრეთვე უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შესაბამისი დარგის/სპეციალობის უფროსი მეცნიერი თანამშრომლებისა და მთავარი მეცნიერი თანამშრომლებისაგან. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრები შეირჩევიან დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად.
6. სადისერტაციო საბჭოში შესაძლებელია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირის მოწვევა.
7. სადისერტაციო საბჭო თითოეული სადისერტაციო თემის დაცვის მიზნით ქმნის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას.
8. სადისერტაციო საბჭოს მიერ სადისერტაციო თემის დაცვის მიზნით შექმნილი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 7 წევრისაგან.
9. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია დოქტორის აკადემიური ხარისხი მიანიჭოს შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე.
10. სადისერტაციო საბჭო იხილავს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დადებით გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია დაამტკიცოს იგი და შესაბამის პირს მიანიჭოს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან უარი თქვას დამტკიცებაზე და შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილებით დაუბრონოს საკითხი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას დამატებითი განხილვისათვის.".

**მუხლი 2.** ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მიხეილ ჩხენკელი**

**დადგენილება №50/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტისათვის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა თანახმად დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 2015 წლის 27 ნოემბრის (N4582-Iს) „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" $23^2$ მუხლის, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 19 თებერვლის №3020/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების $23^2$ მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს - ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტს მიენიჭოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსი.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**

**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №38/2018**
**12 თებერვალი, 2018**

**“სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის №148/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „$თ^2$“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „$კ^2$“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის 2018 წლის 5 თებერვლის №2010/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №3 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის №148/2016 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი
1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს.
3. უვადოდ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-

კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვ.).

4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.

5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.

6. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

7. პირის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.

8. ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეული პირი, რომელიც მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვადით, მაგრამ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**

**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №39/2018**
**12 თებერვალი, 2018**

**"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №132/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ²" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ²" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის 2018 წლის 7 თებერვლის №2159/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №3 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №132/2016 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი
1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს.
3. უვადოდ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-

კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვ.).
4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.
5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.
6. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
7. პირის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.
8. ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეული პირი, რომელიც მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვადით, მაგრამ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №49/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო -კვლევითი ერთეულის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №133/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ$^{2}$“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ$^{2}$“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 2018 წლის 16 თებერვლის №2863/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო -კვლევითი ერთეულის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №133/2016 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი
1. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, რომელიც უნდა ჩატარდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების შესაბამისად.
2. უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული ვადით, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან

გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს.

3. უვადოდ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, აკმაყოფილებს უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულ დამატებით პირობებს და რომელსაც აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები (სამეცნიერო პუბლიკაციები წამყვან ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებსა და სხვა გამოცემებში, მიღებული აქვს მონაწილეობა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და სხვ.).

4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 7 წლის ვადით.

5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. პირი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით.

6. პოსტდოქტორანტად აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.

7. პირის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე 5 წელზე მეტი ვადით არჩევის შემთხვევაში, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციის გავლას უნივერსიტეტის წესდებითა და ატესტაციის ჩატარების ერთიანი წესისა და პირობებით განსაზღვრული წესით.

8. ატესტაციის გავლას არ ექვემდებარება მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეული პირი, რომელიც მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩეულია 5 წელზე მეტი ვადით, მაგრამ მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე არჩევიდან 5 წლის შემდეგ დარჩენილი აქვს უფლებამოსილების 5 წელზე ნაკლები ვადა.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**

**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №40/2018**
**12 თებერვალი, 2018**

**“სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 მარტის №35/2015 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2018 წლის 5 თებერვლის №1610/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №3 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 მარტის №35/2015 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) არის უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული.“;

ბ) პირველი მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

4. ცენტრს აქვს საკუთარი ანგარიში, ბლანკი უნივერსიტეტის გერბით და ბეჭედი, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის ხელმძღვანელის (შემდგომში - დირექტორი) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**

**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №41/2018**
**12 თებერვალი, 2018**

**„ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის №49/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის 2018 წლის 5 თებერვლის №2021/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №3 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 მარტის №49/2013 დადგენილებაში:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ";

ბ) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული – პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრი".

2. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის – პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის“ დებულება (დანართი №1).“;

გ) მე-2 პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის:

გ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის – პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრის დებულება“;

გ.ბ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს პორტუგალიური ენისა და კულტურის სფეროში ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას.“;

გ.გ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ცენტრის ყოველდღიურ, მიმდინარე საქმიანობას კურირებს ცენტრის ადმინისტრატორი, რომელსაც ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**

**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №42/2018**
**12 თებერვალი, 2018**

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 მარტის №40/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის 2018 წლის 5 თებერვლის №2014/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №3 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ევროპული კვლევების ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 მარტის №40/2013 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

ა) პირველი მუხლის სათაური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ევროპული კვლევების ინსტიტუტი (შემდგომში -„ინსტიტუტი“) არის უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული და სარგებლობს შესაბამისი უფლებამოსილებებით.“;

ბ) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. ინსტიტუტის სტრუქტურა

ინსტიტუტის სტრუქტურა შედგება ინსტიტუტის მართვის ორგანოებისგან - ინსტიტუტის ხელმძღვანელი (შემდგომში - დირექტორი), სამეცნიერო საბჭო.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №43/2018**
**12 თებერვალი, 2018**

**„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №113/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის 2018 წლის 5 თებერვლის №1642/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №3 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის შექმნის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №113/2012 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი (შემდგომში - დირექტორი), რომელიც წარმართავს ცენტრის მუშაობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხო ქვეყნების სამეცნიერო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**

**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №44/2018**
**12 თებერვალი, 2018**

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 ოქტომბრის №95/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის 2018 წლის 5 თებერვლის №1630/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №3 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების საუნივერსიტეტო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 ოქტომბრის №95/2012 დადგენილების 11 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი (შემდგომში მეცნიერ-ხელმძღვანელი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თსუ-ს რექტორი.".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**

**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №45/2018**
**12 თებერვალი, 2018**

**„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №112/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენდერის კვლევის ინსტიტუტის 2018 წლის 5 თებერვლის №1641/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის №3 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გენდერის კვლევის ინსტიტუტის შექმნის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ნოემბრის №112/2012 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ინსტიტუტს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის ხელმძღვანელი (შემდგომში - დირექტორი), რომელიც ზედამხედველობას უწევს ინსტიტუტის მუშაობას.".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №52/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**„ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 აპრილის №60/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 თებერვლის №2950/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 აპრილის №60/2013 დადგენილებაში:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ლიდერთა სკოლის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ";

ბ) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული – ლიდერთა სკოლა.
2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის – ლიდერთა სკოლის დებულება (დანართი №1).";

გ) მე-2 პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის:

გ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის – ლიდერთა სკოლის დებულება“;

გ.ბ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიდერთა სკოლა (შემდგომში - „სკოლა“) წარმოადგენს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №53/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 აპრილის №43/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის 2018 წლის 6 თებერვლის №1726/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 აპრილის №43/2016 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გის ლაბორატორიის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობებია გის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (შემდგომში - ლაბორატორიის გამგე), ლაბორანტი.".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №54/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**“სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 ნოემბრის №124/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის 2018 წლის 12 თებერვლის №2065/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება “სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს განვითარების კომპლექსური პრობლემების კვლევის ცენტრის“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 11 ნოემბრის №124/2013 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი (შემდგომში - დირექტორი), რომელიც ზედამხედველობას უწევს ცენტრის მუშაობას.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №55/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №95/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის 2018 წლის 6 თებერვლის №1723/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის №95/2014 დადგენილებაში:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ";

ბ) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრი“.
2. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის“ დებულება (დანართი №1).“;

გ) მე-2 პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის:

გ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის დებულება“;

გ.ბ) პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულს.“;

გ.გ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცენტრს მართავს ცენტრის ხელმძღვანელი (შემდგომში - დირექტორი), რომელსაც ოთხი წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №56/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 9 ივნისის №51/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტის 2018 წლის 12 თებერვლის №2034/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 9 ივნისის №51/2014 დადგენილებაში:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ";

ბ) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტი".

2. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტის“ დებულება (დანართი №1).“;

გ) მე-2 პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის:

გ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტის დებულება“;

გ.ბ) პრეამბულის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - თსუ) დამხმარე სამეცნიერო ერთეული - ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტი (შემდეგში - ინსტიტუტი) ფუძნდება, ვითარდება და მოქმედებს აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული გადაწყვეტილების საფუძველზე, თსუ-სა ბარსელონას ავტონომიურ უნივერსიტეტს შორის ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორენდუმის საფუძველზე.“;

გ.გ) პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ინსტიტუტი არის თსუ-ის დამხმარე სამეცნიერო ერთეული.
2. ინსტიტუტის ოფიციალური ქართული სახელწოდებაა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - ესპანური სამართლის შესწავლის ინსტიტუტი, ინგლისურად – LEPL Ivane Javakhishvili Tbilisi State University Auxiliary Research Unit - Institut of Spanish Legal Studies.“;

გ.დ) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. მართვის ორგანოები

ინსტიტუტის მართვა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს, აღმასრულებელი ხელმძღვანელის (შემდგომში - აღმასრულებელი დირექტორი), აკადემიური ხელმძღვანელისა (აკადემიური დირექტორი) და მრჩეველთა საბჭოს მეშვეობით.“;

გ.ე) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორსა და აკადემიურ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს რექტორი დირექტორთა საბჭოსთან შეთანხმებით, განუსაზღვრელი ვადით.

ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორისა თუ აკადემიური დირექტორის გათავისუფლება შეუძლია რექტორს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №57/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №31/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის 2018 წლის 15 თებერვლის №2398/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №31/2014 დადგენილებაში:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ";

ბ) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრი".

2. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრის“ დებულება (დანართი №1).“;

გ) მე-2 პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) რელიგიათა კვლევის ინტერდისციპლინური ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულს.
2. ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის ერთიანი სახაზინო ანგარიშით. აქვს ბლანკი თსუ-ის ლოგოთი და ბეჭედი, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის ხელმძღვანელის (შემდგომში - დირექტორი) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №58/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №30/2014 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის 2018 წლის 16 თებერვლის №2623/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №30/2014 დადგენილებაში:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ";

ბ) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. შეიქმნას "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტი".

2. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის“ დებულება (დანართი №1).“;

გ) მე-2 პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის:

გ.ა) პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტი (შემდგომში - ინსტიტუტი; ინსტიტუტის სახელწოდება ინგლისურ ენაზე - Institute for Georgia's Neighborhood Studies, IGNS) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულს, რომლის უფლებამოსილებაშია საგანმანათლებლო ფუნქციის შესრულებაც.
2. ინსტიტუტი სარგებლობს უნივერსიტეტის ერთიანი სახაზინო ანგარიშით. აქვს ბლანკი თსუ-ის ლოგოთი და ბეჭედი, რომლის გამოყენება ხდება ინსტიტუტის ხელმძღვანელის (შემდგომში - დირექტორი) მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.“;

გ.ბ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ინსტიტუტის დირექტორს ჰყავს მოადგილე. ინსტიტუტის დირექტორს და დირექტორის მოადგილეს ოთხი წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს, შესაბამისად, უნივერსიტეტის რექტორი (დირექტორს) და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (დირექტორის მოადგილეს).“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №59/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის №5/2013 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის 2018 წლის 12 თებერვლის №2377/31-05 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი სტრუქტურული ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2013 წლის 29 იანვრის №5/2013 დადგენილებაში:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ”;

ბ) პირველი და მე–2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. შეიქმნას სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - ,,ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი‘‘.

2. დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ დებულება (დანართი №1).“;

გ) მე-2 პუნქტით დამტკიცებული №1 დანართის:

გ.ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის“ დებულება“;

გ.ბ) პრეამბულის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი ფუძნდება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - თსუ), როგორც უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული.“;

გ.გ) პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი (შემდგომში - ინსტიტუტი) არის თსუ-ის დამხმარე სამეცნიერო ერთეული.
2. ინსტიტუტის ოფიციალური სახელწოდებაა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - „ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტი“.“;

გ.დ) მე-4 თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი IV - ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელმძღვანელობა: გამგეობა და ხელმძღვანელები (შემდგომში - დირექტორები)“.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**

**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №60/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**"საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიისა და ბიზნეს ინკუბატორის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიისა და ბიზნეს ინკუბატორის 2018 წლის 12 თებერვლის №2457/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიისა და ბიზნეს ინკუბატორის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და ჩამოყალიბდეს წინამდებარე დადგენილებაზე თანდართული სახით (დანართი №1).
2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დანართი 1**

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიისა და ბიზნეს ინკუბატორის**
**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**პრეამბულა**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს ინკუბატორი იქმნება ქ. თბილისის მერიის (სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის სახით), სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით.

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“ ან „თსუ“) ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს ინკუბატორი (შემდგომში - „ლაბორატორია და ინკუბატორი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს.
2. ლაბორატორია და ინკუბატორი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ლაბორატორია და ინკუბატორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

**მუხლი 2. ლაბორატორიისა და ინკუბატორის მიზნები და ფუნქციები**

1. ლაბორატორიისა და ინკუბატორის მიზანია:
ა) ინოვაციური ბიზნეს იდეებისა და პროექტების განვითარება;
ბ) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებლის დაინტერესება ახალი, ინოვაციური ბიზნეს იდეების შექმნისა და რეალიზების მიზნით, მათ შორის ტექნიკური მოწყობილობებისა და სხვადასხვა ექსპერიმენტების განხორციელების მეშვეობით;
გ) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებლის გათვითცნობიერება სასურველი პროდუქციის შექმნის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების თანამედროვე მექანიზმებში.
2. ლაბორატორიისა და ინკუბატორის ფუნქციებია:

ა) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებლისათვის საკუთარი ინოვაციური ბიზნეს იდეების განხორციელების ხელშეწყობა;
ბ) შესაბამისი ინოვაციური პროექტის ფარგლებში, არსებული ტექნიკური მოწყობილობების საშუალებით სხვადასხვა ექსპერიმენტების განხორციელება;
გ) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებელის მიერ სასურველი პროდუქციის შექმნის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში ხელშეწყობა;
დ) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებელის მიერ ლაბორატორიასა და ინკუბატორში საკუთარი იდეების განხილვის უზრუნველყოფა;
ე) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებელის მიერ საკუთარი ბიზნეს მოდელების შექმნის მიზნით საკითხის ტექნიკურ, მარკეტინგული სტრატეგიისა და ფინანსური მენეჯმენტის სფეროებში ანალიზის უზრუნველყოფა;
ვ) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებელისათვის ბიზნეს მოდელების შექმნისა და მათი განხილვის უზრუნველყოფა;
ზ) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებლებისთვის:
ზ.ა) ტექნიკური კონსულტაციისა და დახმარების გაწევა;
ზ.ბ) ბიზნეს, მარკეტინგულ, ფინანსურ და იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა;
ზ.გ) ბიზნეს მოდელების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების მიცემა;
ზ.დ) შეხვედრების ორგანიზება ბიზნეს სექტორთან პროდუქტის განვითარების შემდგომ საფეხურზე გადასაყვანად;
ზ.ე) რეგულარული „მეიკათონებისა“ და შეჯიბრებების მოწყობა საუკეთესო პროდუქტების გამოსავლენად;
ზ.ვ) მაქსიმალური ტექნიკური მხარდაჭერა სასურველი პროდუქციის დასამზადებლად.

**მუხლი 3. ლაბორატორიისა და ინკუბატორის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა**

1. ლაბორატორიასა და ინკუბატორს ხელმძღვანელობს ლაბორატორიისა და ინკუბატორის ხელმძღვანელი (მენეჯერი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. ლაბორატორიისა და ინკუბატორის სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ლაბორატორიისა და ინკუბატორის მენეჯერის წარდგინებით.
3. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ლაბორატორიისა და ინკუბატორისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: ლაბორატორიისა და ინკუბატორის მენეჯერი, კონსულტანტი, დიზაინერი, ტექნიკოსი.
4. ლაბორატორიისა და ინკუბატორის თანამდებობებზე კონკრეტულ პირთა დანიშვნისა თუ გათავისუფლების საკითხების გადაწყვეტისათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით

იქმნება ლაბორატორიისა და ინკუბატორის საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს ლაბორატორიისა და ინკუბატორის ხელმძღვანელი (მენეჯერი). საბჭოში წევრის სტატუსით შედიან ა(ა)იპ ,,თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის“ ორი წარმომადგენელი და ლაბორატორიისა და ინკუბატორის ორი წარმომადგენელი. საბჭო უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარი მაინც. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

5. ლაბორატორიისა და ინკუბატორის ხელმძღვანელის (მენეჯერი), დროებით არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას დროებით ასრულებს ლაბორატორიისა და ინკუბატორის ერთ-ერთი თანამშრომელი ლაბორატორიისა და ინკუბატორის ხელმძღვანელის (მენეჯერი) დავალების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით.

6. ლაბორატორიისა და ინკუბატორის მენეჯერი:

ა) წარმართავს და ორგანიზებას უწევს ლაბორატორიისა და ინკუბატორის მუშაობას;

ბ) უზრუნველყოფს ლაბორატორიისა და ინკუბატორის სერვისებისა და პროგრამების განვითარებას;

გ) განსაზღვრავს ლაბორატორიისა და ინკუბატორის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

დ) ანაწილებს მოვალეობებს ლაბორატორიისა და ინკუბატორის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

ე) ზედამხედველობს ლაბორატორიისა და ინკუბატორის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ვ) ახდენს ტრენინგების მოდულების შედგენას, რომლებიც ლაბორატორიამ და ინკუბატორმა წლის მანძილზე უნდა შესთავაზოს სტუდენტებს;

ზ) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის შესაბამის ორგანოებს ლაბორატორიასა და ინკუბატორში კომერციული მიზნით შესასრულებელ სამუშაოთა კალკულაციას;

თ) ასახავს ვებგვერდზე დაგეგმილ პროექტებსა და განხორციელებული საქმიანობის შედეგებს საზოგადოების დაინტერესებისა და ცალკეული იურიდიული თუ ფიზიკური პირების მოზიდვის მიზნით;

ი) წარადგენს ანგარიშს ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;

კ) ახორციელებს უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და მოვალეობებს.

**მუხლი 4. ლაბორატორიისა და ინკუბატორის ქონება**

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ლაბორატორია და ინკუბატორი სარგებლობს უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტისათვის ამ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სარგებლობაში გადმოცემული ქონებით.

**მუხლი 5. ლაბორატორიისა და ინკუბატორის ფინანსები**

ლაბორატორიისა და ინკუბატორის დაფინანსების წყაროებია:
ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი დაფინანსება;
ბ) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;
გ) მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლები;
დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ლაბორატორიისა და ინკუბატორისათვის განკუთვნილი შემოწირულობის სახით მიღებული შემოსავლები;
ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

**მუხლი 6. ლაბორატორიისა და ინკუბატორის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

ლაბორატორიისა და ინკუბატორის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**დადგენილება №61/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის 2018 წლის 15 თებერვლის №2495/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დებულება (დანართი №1).

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

დანართი №1

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის**
**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**პრეამბულა**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - თსუ) კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი (შემდგომში - ინსტიტუტი) არის დამხმარე სამეცნიერო ერთეული რამდენადაც თავისი სპეციფიკით ინსტიტუტი არაა დაკავშირებული თსუ-ს რომელიმე კონკრეტულ ფაკულტეტთან.

ინსტიტუტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და საკონსულტაციო მუშაობა მოითხოვს თსუ-ს სხვადასხვა ფაკულტეტებს შორის კოორდინაციას, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ერთობლივ მუშაობას.

ინსტიტუტი უწევს მომსახურეობას თსუ-ს ადმინისტრაციას და ფაკულტეტებს ინტერპერსონალური და ორგანიზაციული კონფლიქტების დარეგულირებისათვის კონსულტაციების, ტრეინინგების ჩატარებისა და მედიაციის კლინიკის მეშვეობით.

**მუხლი 1. საქმიანობის მიზნები და ამოცანები**

1. ინსტიტუტის მიზანია სხვადასხვა სფეროში არსებული კონფლიქტების კვლევა და ანალიზი მათი დარეგულირების, გადაჭრის და პრევენციისათვის, კონფლიქტების კვლევის სპეციალისტების მომზადება, საზოგადოების ფართო ფენების განათლების და ტრენინგების გზით კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზების დანერგვა.

2. ინსტიტუტის მუშაობის ძირითადი კომპონენტებია: კონფლიქტების ანალიზის და მართვის სფეროში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად სასწავლო პროგრამების განხორციელება, კვლევები და პუბლიკაციები, კლინიკური და საკონსულტაციო პროგრამები, საექსპერტო მომსახურეობა დაინტერესებული სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, საგანმანათლებლო პროგრამები მოსახლეობისთვის.

3. ინსტიტუტში მუშაობს მედიაციის კლინიკა, რომელიც გარდა სასწავლო მიზნებისა, უწევს შესაბამის მომსახურეობას როგორც თსუ-ს, ისე სხვა ორგანიზაციებს და დაინტერესებულ

პირებს.

4. ინსტიტუტი ანხორციელებს პროფესორთა და სტუდენტთა გაცვლის პროგრამებს უცხოეთის შესაბამისი პროფილის სასწავლო დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებთან.

5. ინსტიტუტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინოვაციურ მეთოდების დანერგვას სამეცნიერო კვლევასა და პედაგოგიურ საქმიანობაში, მუშაობს დისტანციური სწავლების და სიცოცხლის მანძილზე განათლების პროგრამების დანერგვაზე.

6. ინსტიტუტი ჩართულია საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე კვლევით და საექსპერტო თანამშრომლობაში. ინსტიტუტი ინტენსიურად თანამშრომლობს ქვეყნის ხელისუფლებასთან ინსტიტუტის პროფილისადმი რელევანტური საკითხების კვლევების განხორციელებასა და რეკომენდაციების შემუშავებაში.

**მუხლი 2. მართვის ორგანოები**

ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის საბჭო და ხელმძღვანელი (შემდგომში - დირექტორი).

**მუხლი 3. ინსტიტუტის საბჭო**

1. ინსტიტუტის საბჭოს შემადგენლობაში შედის: კონფლიქტოლოგიის სასწავლო პროგრამებში მონაწილე აკადემიური პერსონალი, მათ შორის ემერიტუსი პროფესორები, უნივერსიტეტში შემავალი ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოების თითო წარმომადგენელი.

2. ინსტიტუტის საბჭო:

ა) ირჩევს დირექტორს;
ბ) განიხილავს და ამტკიცებს დირექტორის ანგარიშს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს;
გ) გადაწყვეტილებას იღებს ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ განეკუთვნება მხოლოდ დირექტორის კომპეტენციას.

3. საბჭო იკრიბება წელიწადში ორჯერ. დამატებითი შეკრების მოწვევა შეიძლება დირექტორის ან საბჭოს წევრების ერთი მესამედის ინიციატივით.

4. საბჭოს ხელმძღვანელობს დირექტორი, მისი არყოფნის დროს მოადგილე.

5. საბჭოს დღის წესრიგს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე საბჭოს წევრების წინადადებების გათვალისწინებით, ხოლო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი

განისაზღვრება მოწვევის ინიციატორთა მიერ.

6. საბჭოს დღის წესრიგი ეგზავნებათ წევრებს სხდომამდე ერთი კვირით ადრე.

7. საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

8. საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

**მუხლი 4. დირექტორი**

1. ინსტიტუტის საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი.

2. დირექტორს ირჩევს ინსტიტუტის საბჭო 4 წლის ვადით საბჭოს წევრებიდან, ხმების უმრავლესობით და საბჭოს წარდგინების საფუძველზე თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი.

3. დირექტორი:

ა) წარმართავს ინსტიტუტის საქმიანობას დებულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად;
ბ) ადგენს ინსტიტუტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას და წარუდგენს საბჭოს დასამტკიცებლად;
გ) ხელმძღვანელობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი და საკონსულტაციო პროგრამების ორგანიზირებულად წარმართვას და განხორციელებას;
დ) ადგენს ინსტიტუტის ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საბჭოს და თსუ-ს ადმინისტრაციას;
ე) წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;
ვ) წარუდგენს ინსტიტუტის მუშაობის ანგარიშს საბჭოს და თსუ-ს რექტორს წელიწადში ერთხელ.

4. დირექტორთან მუშაობს დირექტორის ოფისი მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს დირექტორი საბჭოსთან შეთანხმებით.

**მუხლი 5. ინსტიტუტის წევრობა**

1. ინსტიტუტის წევრი შეიძლება იყოს თსუ-ს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი,

ასისტენტ-პროფესორი, აგრეთვე ემერიტუსი.

2. ინსტიტუტის წევრი მოვალეა:

ა) განახორციელოს საბჭოს და დირექტორის გადაწყვეტილებები;
ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტის საქმიანობაში.

3. ინსტიტუტის წევრს უფლებამოსილება უწყდება საკუთარი სურვილით, ან საბჭოს გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

**მუხლი 6. დაფინანსება**

ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია: სხვადასხვა სასწავლო პროგრამების და ტრეინინგებისგან მიღებული შემოსავალი, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების და დაინტერესებული პირებისთვის საკონსულტაციო პრაქტიკისა და მედიაციის სამსახურიდან შემოსული სახსრები, გრანტები, სახელმწიფო, საერთაშორისო და კერძო დონორი ორგანიზაციებიდან დახმარება.

**მუხლი 7. ცვლილებები და დამატებები**

დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით.

**მუხლი 8. ძალაში შესვლა**

დებულება ძალაში შედის თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

**დადგენილება №62/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ლექსიკოგრაფიული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრის 2018 წლის 15 თებერვლის №2517/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ლექსიკოგრაფიული ცენტრის დებულება (დანართი №1).

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

დანართი №1

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ლექსიკოგრაფიული ცენტრის დებულება**

**მუხლი 1. ლექსიკოგრაფიული ცენტრის სტატუსი**

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) არის დამხმარე სამეცნიერო ერთეული, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

**მუხლი 2. ცენტრის მიზანი**

1. ცენტრის მიზანია:
ა) სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული პროექტების განხორციელებით იმ ხარვეზის გამოსწორება, რაც დღესდღეობით არსებობს ქართულ თარგმნით ლექსიკოგრაფიაში;
ბ) ლექსიკოგრაფის პროფესიისა და თარგმნითი ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის პოპულარიზაცია;
გ) უნივერსიტეტის ჩამოყალიბება ორენოვანი ლექსიკოგრაფიის მძლავრ კერად საქართველოში.
2. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ცენტრი დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის ბაზაზე გამოსაცემად მოამზადებს ზოგად და სპეციალიზებულ/დარგობრივ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონებს. უხელმძღვანელებს სხვაენოვან ევროპულ-ქართულ ლექსიკოგრაფიულ პროექტებს.

**მუხლი 3. ცენტრის მართვა და სტრუქტურა**

1. ცენტრს მართავს ცენტრის ხელმძღვანელი (შემდგომში - უფროსი).
2. ცენტრის თანამშრომელთა თანამდებობებს მიეკუთვნება: უფროსი რედაქტორი, რედაქტორი.

**მუხლი 4. ცენტრის უფროსი**

ცენტრის უფროსი:
1. განსაზღვრავს ცენტრის მუშაობის კონცეპტუალურ საკითხებს, ძირითად მიმართულებებს;
2. შეიმუშავებს ცენტრის სამუშაო გეგმას და უზრუნველყოფს მის შესრულებას;
3. განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და იღებს გადაწყვეტილებას

კონკრეტულ ლექსიკოგრაფიულ პროექტზე მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით;
4. რეგულარულად ისმენს უფროსი რედაქტორებისა და რედაქტორების ანგარიშებს ლექსიკოგრაფიულ პროექტებზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ;
5. წელიწადში ერთხელ ამზადებს ცენტრის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშს, რომელსაც
წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
6. ცენტრის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს რექტორი.

**მუხლი 5. ცენტრის უფროსი რედაქტორი**

1. ცენტრის უფროსთან ერთად წარმართავს ცენტრის მუშაობას.
2. ხელმძღვანელობს ცენტრში სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებისათვის სამეცნიერო პროექტების მომზადებას; ლექსიკონების სარედაქციო კოლეგიის წევრების შერჩევას.
3. უშუალოდ მონაწილეობს ცენტრის ლექსიკოგრაფიული პროექტების განხორციელებაში.

**მუხლი 6. ცენტრის რედაქტორი**

1. უშუალოდ მონაწილეობს ცენტრის ლექსიკოგრაფიული პროექტების განხორციელებაში.
2. ამზადებს სიტყვა-სტატიებს ცენტრის მიერ განხორციელებული ლექსიკოგრაფიული პროექტებისათვის.

**მუხლი 7. ლექსიკოგრაფიული პროექტების დაფინანსება**

ლექსიკოგრაფიული პროექტების დაფინანსება შეიძლება მოძიებულ იქნას სხვადასხვა წყაროებიდან (გრანტები, სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები).

**მუხლი 8. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი
წესით.

**დადგენილება №63/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის 2018 წლის 15 თებერვლის №2413/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება (დანართი №1).

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

დანართი №1

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის**
**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**მუხლი 1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სტატუსი**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი") ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი") არის უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

**მუხლი 2. ცენტრის მიზანი**

1. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა პრობლემატიკის შესწავლა და კვლევა უნივერსიტეტის სამეცნიერო-საგანმანათლებლო პოტენციალის გამოყენებით;
2. ამ თემატიკის დამუშავების პროცესში სტუდენტი ახალგაზრდობის აქტიური ჩაბმა მათში მეცნიერული კვლევის საფუძვლების განვითარების მიზნით;
3. ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების გააქტიურება აღნიშნულ საკითხებზე.

**აღნიშნული მიზნების მისაღწევად ცენტრი**

ა) დახმარებას უწევს სხვადასხვა ფაკულტეტს სასწავლო პროგრამებისა და სამუშაო გეგმების შემუშავებაში;
ბ) სხვადასხვა ფაკულტეტის დეკანატთან შეთანხმებით ეხმარება სტუდენტებს სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შერჩევასა და შესრულებაში;
გ) ორგანიზებას უწევს სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას ამ მიმართულებით;
დ) აწყობს სამეცნიერო-სასწავლო კონფერენციებს;
ე) იწვევს სხვადასხვა სპეციალისტებს (მათ შორის აფხაზეთიდან) სამუშაო პროგრამებიდან გამომდინარე;
ვ) ქმნის პირობებს უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობაში აფხაზური მხარის მონაწილეობისათვის;
ზ) ხელს უწყობს უნივერსიტეტში აბიტურიენტთა მოზიდვას აფხაზეთიდან და ქმნის პირობებს მათთვის უნივერსიტეტში სასწავლებლად;

თ) კონსულტაციებს უწევს უნივერსიტეტის საზოგადოებას აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ.

**მუხლი 3. ცენტრის მართვის ორგანოები**

ცენტრის მართვის ორგანოებია: ცენტრის საბჭო და ხელმძღვანელი (შემდგომში - დირექტორი).

**მუხლი 4. ცენტრის საბჭო**

1) ცენტრის საბჭოს შემადგენლობას ცენტრის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი;
2) ცენტრის საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. დაუშვებელია ხმის უფლების გადაცემა;
3) ცენტრის საბჭო:
ა) განსაზღვრავს ცენტრის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის პრიორიტეტულ მიმართულებებს;
ბ) განიხილავს დირექტორის ანგარიშს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს;
გ) გადაწყვეტილებას იღებს კანონით გათვალისწინებულ საკითხებზე;
4) ცენტრის საბჭო იკრიბება ყოველი სემესტრის დაწყებამდე ერთი თვით ადრე დირექტორის ან აკადემიური საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით;
5) ცენტრის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს დირექტორი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - მოადგილე;
6) ცენტრის საბჭოს დღის წესრიგს განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე ცენტრის საბჭოს წევრთა წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით; ხოლო რიგგარეშე ცენტრის საბჭოს დღის წესრიგი განისაზღვრება ცენტრის საბჭოს მოწვევის ინიციატორ წევრთა მიერ;
7) ცენტრის საბჭოს დღის წესრიგი წევრებს ეგზავნებათ სხდომის გამართვამდე ერთი კვირით ადრე;
8) ცენტრის საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით;
9) ცენტრის საბჭოს სხდომის მიმდინარეობა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

**მუხლი 5. ცენტრის დირექტორი**

1) ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს ცენტრის დირექტორი;
2) დირექტორს ნიშნავს რექტორი 4 წლის ვადით;
3) დირექტორი:
ა) წარმართავს ცენტრის საქმიანობას დებულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად;
ბ) ადგენს ცენტრის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას და წარუდგენს ცენტრის საბჭოს დასამტკიცებლად;
გ) ხელმძღვანელობს სასწავლო პროგრამების ორგანიზებულად წარმართვასა და

განხორციელებას;
დ) წარუდგენს ცენტრის საქმიანობის ანგარიშს ცენტრის საბჭოს 6 თვეში ერთხელ;
ე) წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.
4) ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია თსუ რექტორისა და ცენტრის საბჭოს წინაშე.

**მუხლი 6. ცენტრის დირექტორის მოადგილე**

- უზრუნველყოფს ცენტრის კოორდინირებულ მუშაობას;
- ამყარებს კავშირებს აფხაზურ მხარესთან, ორგანიზებას უწევს მათთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას;
- ანაწილებს ფუნქციებს ცენტრის თანამშრომელთა შორის და ახდენს მათ ადმინისტრირებას;
- თვალყურს ადევნებს და კონტროლს უწევს თანამშრომელთა სამსახურებრივ საქმიანობას;
- წარუდგენს ანგარიშს ცენტრის დირექტორს სამსახურში გაწეული მუშაობის შესახებ.

**მუხლი 7. მთავარი სპეციალისტი**

**მთავარი სპეციალისტი** (ანგარიშვალდებულია ცენტრის დირექტორის წინაშე):
1. მოიძიებს და ქმნის ცენტრის მუშაობისათვის საჭირო ინფორმაციულ ბაზას;
2. ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე მოთხოვნისთანავე მოიძიებს და წარადგენს საჭირო ინფორმაციას და მასალებს მოცემული თემატიკის გარშემო;
3. ეწევა მთარგმნელობით საქმიანობას (აფხაზურ ენაზე), ახდენს ნაშრომთა რედაქტირებასა და კორექტირებას აფხაზურ ენაზე;
4. ცენტრის თემატიკიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში კავშირს ამყარებს აფხაზურ მხარესთან.

**მუხლი 8. უფროსი ლაბორანტი**

**უფროსი ლაბორანტი** (ანგარიშვალდებულია დირექტორის მოადგილის წინაშე):

1. ადგენს და ხელმძღვანელობს ცენტრის ბიბლიოთეკას;
2. ასრულებს ტექნიკურ სამუშაოს მასალების დამუშავებისა და გავრცელების დროს;
3. უზრუნველყოფს ცენტრის ტექნიკური აღჭურვილობის ფუნქციონირებას.

**მუხლი 9. ცენტრის წევრობა**

ცენტრის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას დებულება და დაემორჩილოს ცენტრის საბჭოს გადაწყვეტილებებს;
ბ) დებულებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისას გაითვალისწინოს ცენტრის ინტერესები და რეგულარულად მიიღოს მონაწილეობა მის ღონისძიებებში;
გ) გაუფრთხილდეს ცენტრის რეპუტაციას, ხელი შეუწყოს მის მუშაობას, ერთიანობას, მიზნების განხორციელებას;
დ) ცენტრის წევრს უფლებამოსილება უწყდება საკუთარი სურვილით, ცენტრის საბჭოს გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

**მუხლი 10. დაფინანსება**

ცენტრის დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს: თსუ–ს ბიუჯეტი, სასწავლო კურსები, საკონსულტაციო და მთარგმნელობითი საქმიანობა, გრანტები, სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები.

**მუხლი 11. ცვლილებები და დამატებები**

დებულებაში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად.

**მუხლი 12. ძალაში შესვლა**

დებულება ძალაში შედის თსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

**დადგენილება №51/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №45/2012 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის პირველი და მე–2 ნაწილების, 53–ე მუხლის პირველი და მე–3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „უ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №2315/10-02 წერილის, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2018 წლის 16 თებერვლის №2885/30 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის - მულტიმედია ცენტრის შექმნის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 11 ივნისის №45/2012 დადგენილება.

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

**დადგენილება №64/2018**
**19 თებერვალი, 2018**

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „პ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ამავე მუხლის პირველი პუნქტის ,,წ" ქვეპუნქტის, თსუ-ს პერსონალის მართვის დეპარტამენტის 2018 წლის 15 თებერვლის №2475/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს:

ა) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები (დანართი №1);

ბ) შეთანხმება აფილირების შესახებ (დანართი №2).

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტსა და ფაკულტეტების დეკანებს.

4. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**გიორგი შარვაშიძე**
**რექტორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

დანართი №1

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები**

**მუხლი 1. აფილირების წესისა და პირობების მიზანი**

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების (შემდგომში - „წესი“), ასევე ამ წესის მიღების სახით უნივერსიტეტის მიზანია:
ა) უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებისა და ამ აქტებით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;
ბ) უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შორის ისეთი ურთიერთსასარგებლო შრომითსამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ერთის მხრივ აკადემიურ პერსონალს მისცემს საშუალებას თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა (ასევე შრომითი ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა სახის საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფუნქციის შესრულებიდან) აწარმოოს უნივერსიტეტის სახელით და მეორეს მხრივ უნივერსიტეტს მისცემს საშუალებას მაქსიმალურად და შესაძლებლობის ფარგლებში შეუზღუდავად შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზებისათვის.

**მუხლი 2. აფილირება**

1. უნივერსიტეტთან აკადემიური პერსონალის აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირს (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმებას, რომლის თანახმადაც აკადემიური თანამდებობის პირი ადასტურებს თავის აფილირებას მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და უნივერსიტეტში:
ა) ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით /საშემსრულებლო საქმიანობას და მისი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი /საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება თსუ-ს;
ბ) აქტიურად არის ჩართული თსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/ შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
გ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

**მუხლი 3. აფილირებული აკადემიური პერსონალი**

1. უნივერსიტეტს ჰყავს მხოლოდ აფილირებული აკადემიური პერსონალი. აფილირებულია უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, ვისაც წინამდებარე წესით დადგენილი პირობების თანახმად, უნივერსიტეტთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების შეთანხმება (დანართი №2).
2. აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია, გარდა მასთან გაფორმებული შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი აქტებისა (შრომითი ხელშეკრულება, შეთანხმება და სხვ.) და უნივერსიტეტში მოქმედი შრომითსამართლებრივი აქტებით მისთვის განსაზღვრული შრომის პირობებისა, დაიცვას წინამდებარე წესის მოთხოვნები, რომელიც მისი შრომითი ხელშეკრულების შემადგენელი (განუყოფელი) ნაწილია.
3. პირი, რომელსაც სურს დაიკავოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობა ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე წესის მოთხოვნებს და აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით (უნივერსიტეტის სხვა შესაბამის პირობებთან ერთად) წერილობით გამოხატოს თანხმობა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ, რაც ძალაში შედის მის მიერ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დაკავებისთანავე და წერილობით დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არ გააჩნია ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ვალდებულია ხელმისაწვდომი გახადოს წინამდებარე წესი საჯარო გაცნობისათვის და აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველს გააცნოს მისი შინაარსი, ასევე უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაამოწმოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.
5. აფილირებული აკადემიური პერსონალი გამონაკლის შემთხვევაში უფლებამოსილია, **უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წერილობითი ცნობებით (რომელშიც მითითებული უნდა იყოს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, ჩასატარებელი საათების რაოდენობა, საქმიანობის პერიოდი),** განახორციელოს საგანმანათლებლო-სალექციო (მხოლოდ სალექციო, სასემინარო, პრაქტიკული, ლაბორატორიული) საქმიანობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვირაში არაუმეტეს 6 საათისა (აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის დაკავების გარეშე), გარდა შემდეგი აკადემიური თანამდებობის მქონე პირებისა - იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების „ა“ კატეგორიის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების „ა“ და „ბ" კატეგორიის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი.

**მუხლი 4. გარდამავალი დებულებები**

1. უნივერსიტეტის იმ აკადემიური პერსონალისათვის, რომელსაც გააჩნია ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი შრომითი ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე დადგინდეს ამ მუხლით განსაზღვრული განსხვავებული პირობები.

2. უნივერსიტეტის ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი შრომითი ხელშეკრულება (პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის თანამდებობაზე) ვალდებულია განიხილოს ამ წესის პირველი - მე-3 მუხლებით განსაზღვრული პირობები და უფლებამოსილია უნივერსიტეტთან შეთანხმებით გააფორმოს აფილირების შეთანხმება წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობებით.

3. უნივერსიტეტის ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი შრომითი ხელშეკრულება და არ გააფორმებს უნივერსიტეტთან აფილირების ხელშეკრულებას, ვალდებულია უნივერსიტეტს წარმოუდგინოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დადებული, ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ., ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან წერილობით დაადასტუროს ინფორმაცია ასეთი დოკუმენტის არარსებობის შესახებ.

4. უნივერსიტეტის იმ აკადემიურ პერსონალზე, რომელსაც გააჩნია ამ წესის ძალაში შესვლის **დროისათვის მოქმედი შრომითი ხელშეკრულება და არ გააფორმებს უნივერსიტეტთან აფილირების ხელშეკრულებას (იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გულისხმობს მის მიერ უნივერსიტეტში განხორციელებული/ განხორციელებადი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის უნივერსიტეტისათვის კუთვნილების შეუძლებლობას) კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისათვის შრომის ანაზღაურება არ გაიცემა.** ასევე უნივერსიტეტი უფლებამოსილია განიხილოს კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის მიზნით ასეთი პირისათვის უნივერსიტეტის რესურსებით (რომლებიც აუცილებელია კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის განსახორციელებლად) სარგებლობის უფლების შეზღუდვა.

დანართი №2

**შეთანხმება**
**აფილირების შესახებ**

ქ. თბილისი „------“ ----------- 20-- წელი

ერთი მხრივ, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ------- -------- --------------------- სახით („დამსაქმებელი“), მეორე მხრივ, მოქალაქე ----- ------- ------------------------- (,,დასაქმებული") შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. დასაქმებული --------------------- ფაკულტეტის ---------------------- აკადემიური პერსონალი (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი/ასისტენტი)----- -------------------------------------- უნივერსიტეტსა და მას შორის გაფორმებული ------------- --------------- შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით, 20-- წლის --------------- დან 20 -- ----------- მდე, აფილირებულია მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, თსუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და თსუ-ში: ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას და მისი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება თსუ-ს; აქტიურად არის ჩართული თსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

2. პასუხისმგებლობა თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №64/2018 დადგენილებით - "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები" - განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობაზე ეკისრება შესაბამის აკადემიურ პერსონალს.

3. თსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალის (**პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ-პროფესორის/ასისტენტის)** ---------------------- აფილირების ვადის გასვლის შემდგომ აფილირების პერიოდში შექმნილი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროდუქცია რჩება თსუ-ის სახელით გამოცემულის/შესრულებულის სტატუსის მქონედ.

4. შეთანხმება ძალაშია ---------------------------------დან -----------------------------------მდე.

| | |
|---|---|
| "დამსაქმებელი" | "დასაქმებული" |
| ივანე ჯავახიშვილის სახელობის | გვარი, სახელი |
| თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის | ------------------------------------------ |
| ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | ხელმოწერა |

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დებულება

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი"), უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც იცავს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას, კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად, უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს, სახანძრო უსაფრთხოებას, აგრეთვე წინამდებარე დებულების შესაბამისად დაკისრებული სხვა მოვალეობების შესრულებას.
2. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური მოქმედებს უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე, უფლებამოსილია მოითხოვოს თანამშრომლების, სტუდენტების და უცხო პირების მხრიდან უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულება.
3. სამართალდამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკის საკითხებში უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან.
4. უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს აქვს სპეციალური ფორმა განმასხვავებელი ნიშნებით.
5. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

## მუხლი 2. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

1. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კანონმდებლობა, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტები და წინამდებარე დებულება.
2. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობა ემყარება ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვის, პიროვნების ღირსების პატივისცემის, ჰუმანურობის, დემოკრატიულობის და სამართლიანობის პრინციპებს.
3. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი მოქალაქეებთან ურთიერთობის დროს მოქმედებს ზოგადი ეთიკის ნორმების შესაბამისად.

## მუხლი 3. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა ძირითადი შეზღუდვები

1. უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს ეკრძალებათ დაცვით საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს ეკრძალებათ პოლიტიკურ პარტიაში შესვლა და საქმიანობა.

**მუხლი 4. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და ძირითადი ფუნქციები**

1. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურულ ერთეულს შეადგენს ოპერატიული მართვის ცენტრის და ტექნიკური დაცვის განყოფილება.
2. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
3. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ძირითადი ფუნქციები:
ა) შეიმუშავებს, დაგეგმავს და განახორციელებს უნივერსიტეტის დაცვის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ სამუშაოებს;
ბ) კოორდინაციას უწევს და წარმართავს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობას და ხელს უწყობს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ეფექტურ მუშაობას;
გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს აძლევს კონკრეტულ მითითებებს და დავალებებს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით;
დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში პასუხისმგებელ პირთა დანიშვნის ან გათავისუფლების საკითხებზე;
ე) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის შეთანხმებულ და კოორდინირებულ მუშაობას საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან;
ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს ოპერატიულ თათბირებზე განსახილველი საკითხების მომზადება-განხილვას;
ზ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებს საჭირო ღონისძიებების გატარების თაობაზე;
თ) განიხილავს და ამტკიცებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სამოქმედო გეგმებს, აჯამებს და შესაბამის შეფასებას აძლევს გაწეულ საქმიანობას;
ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა წახალისების და დისციპლინარული ღონისძიებების გატარების მიზნით წინადადებით მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
კ) საჭიროების შემთხვევაში ატარებს სამსახურებრივ მოკვლევას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
4. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს ჰყავს ორი მოადგილე, რომლებსაც სამსახურის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
5. სამსახურის უფროსის ოპერატიული მართვისა და შიდა ინსპექტირების დარგში მოადგილის ძირითადი ფუნქციები:
ა) სამსახურის უფროსის დავალებით ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობას;
ბ) სამსახურის უფროსის დავალებით პერიოდულად ატარებს თათბირებს, იძლევა სამსახურებრივ დავალებებსა და მითითებებს, რათა დროულად იქნეს გამოვლენილი და აღკვეთილი დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში არსებული ანდა შესაძლო ხარვეზები;

გ) თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინარული ღონისძიებების გატარების შესახებ წინადადებებს წარუდგენს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს;
დ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის დავალებით ასრულებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოვალეობას სამსახურის უფროსის მიერ თავის უფლებამოვალეობათა შესრულების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში;
ე) არჩევს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში მუშაობის დაწყების მსურველთა კანდიდატებს და წარუდგენს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს;
ვ) უფროსთან შეთანხმებით შეიმუშავებს დასაცავი ობიექტების უსაფრთხოების გეგმას;
ზ) ასრულებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სხვა მითითებებს.
6. სამსახურის უფროსის მატერიალურ-ტექნიკური განვითარების დარგში მოადგილის ძირითადი ფუნქციები:
ა) სამსახურის უფროსთან შეთანხმებით კოორდინაციას უწევს ოპერატიული მართვის ცენტრისა და ტექნიკური დაცვის განყოფილებას ;
ბ) სამსახურის უფროსის დავალებით ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა საქმიანობას;
გ) სამსახურის უფროსთან შეთანხმებით ხელმძღვანელობს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური განვითარების მიმართულებით წარმოებულ სამუშაოებს;
დ) სამსახურის უფროსთან შეთანხმებით უწევს კონტროლს დაცვის ტექნიკური საშუალებებისა და ცოცხალი ძალის ოპტიმალურ განაწილებას დასაცავი ობიექტების მიხედვით ;
ე) სამსახურის უფროსთან შეთანხმებით კოორდინაციას უწევს ოპერატიული მართვის ცენტრისა და ტექნიკური დაცვის განყოფილებას;
ვ) სამსახურის უფროსთან შეთანხმებით კოორდინაციას უწევს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის საკადრო პოლიტიკას;
ზ) უფროსის დავალებით ასრულებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოვალეობას მისი არყოფნის შემთხვევაში;
თ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის დავალებით ან მასთან შეთანხმებით ხელმძღვანელობს სამსახურებრივი დოკუმენტაციის წარმოებას;
ი) ასრულებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სხვა მითითებებს.
7. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში ფუნქციონირებს შიდა ინსპექტირების, პირად შემადგენლობასთან მუშაობის და ღონისძიებების უსაფრთხოების ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე ოპერატიული მართვისა და შიდა ინსპექტირების დარგში.
8. შიდა ინსპექტირების, პირად შემადგენლობასთან მუშაობის და ღონისძიებების უსაფრთხოების ჯგუფი დაკომპლექტებულია მთავარი და უფროსი სპეციალისტებით. შიდა ინსპექტირების, პირად შემადგენლობასთან მუშაობის და ღონისძიებების უსაფრთხოების ჯგუფის თანამშრომლებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
**9.** შიდა ინსპექტირების, პირად შემადგენლობასთან მუშაობის და ღონისძიებების უსაფრთხოების ჯგუფის მთავარ სპეციალისტთა ფუნქციას შეადგენს:

ა) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან შეთანხმებული სქემის შესაბამისად დღე-ღამის განმავლობაში ობიექტების შემოვლა-შემოწმებაზე კონტროლის განხორციელება;
ბ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ან მისი მოადგილის მითითებით პირად შემადგენლობისათვის შესაბამისი სწავლებების ჩატარება დაკისრებული ფუნქციების უკეთ შესრულების მიზნით;
გ) უნივერსიტეტის ობიექტების დაცვის გეგმების და ინსპექტორის სამოქმედო ინსტრუქციების პროექტების შედგენის უზრუნველყოფა და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსისათვის წარდგენა;
დ) დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების ან სანიმუშო ქცევისთვის წახალისების მიზნით დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსისთვის შესაბამისი კანდიდატების წარდგენა, რომელთაც დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი თავის მხრივ წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;
ე) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სხვა მითითებების შესრულება.
10. შიდა ინსპექტირების, პირად შემადგენლობასთან მუშაობის და ღონისძიებების უსაფრთხოების ჯგუფის უფროს სპეციალისტთა ფუნქციას შეადგენს:
ა) დაიცვან წესრიგი უნივერსიტეტში ან მისი ეგიდით წარმოებულ ღონისძიებებზე (ადგილზე პასუხისმგებელ პირებთან შეთანხმებით);
ბ) ობიექტებზე განგაშის გამოცხადების შემთხვევაში გაუწიონ მყისიერი დახმარება უნივერსიტეტის თანამშრომლებს, სტუდენტებს და გარეშე პირებს;
გ) მოახდინონ მცველების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტების აღმოჩენა-გამოსწორება;
დ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან შეთანხმებული სქემის შესაბამისად დღე-ღამის განმავლობაში განახორციელონ ობიექტების შემოვლა-შემოწმება;
ე) შეასრულონ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სხვა მითითებები;
ვ) მორიგე თანამშრომელი წარმოადგენს პასუხისმგებელ პირს კონკრეტულ ცვლაში და უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან შეთანხმებით ახორციელებს მთელი სამსახურის კოორდინაცია-ხელმძღვანელობას.
11. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურულ ერთეულს შეადგენს ოპერატიული მართვის ცენტრის და ტექნიკური დაცვის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
12. ოპერატიული მართვის ცენტრის და ტექნიკური დაცვის განყოფილების უფროსის ფუნქციებს შეადგენს:
ა) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან შეთანხმებით ოპერატიული მართვის და ტექნიკური დაცვის ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შემუშავება;
ბ) ოპერატიული მართვის ცენტრის და დაცვის ტექნიკური ჯგუფის თანამშრომლებს შორის მოვალეობების განაწილება, მათთვის მითითებების და დავალებების მიცემა და მათ შესრულებაზე კონტროლი;
გ) დაცვის ტექნიკური სისტემების მონტაჟზე და დემონტაჟზე ზედამხედველობა;
დ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან შეთანხმებით ოპერატიული მართვის ცენტრის და ტექნიკური დაცვის განყოფილების თანამშრომელთათვის რეგულარულად ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა;

ე) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით პირადი შემადგენლობისათვის შესაბამისი სწავლების ჩატარების ორგანიზება და სახანძრო უსაფრთხოების გეგმების შემუშავებაზე კონტროლი;
ვ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის განყოფილების კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე კონსულტაციის გაწევა;
ზ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის წარდგინებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტების საფუძველზე, დანიშნული მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად უსაფრთხოების სამსახურის კუთვნილი მატერიალური ფასეულობათა მიღება-ჩაბარების, აღრიცხვა-შენახვის უზრუნველყოფა და ამ მიზნით შესაბამისი აქტების წარმოება;
თ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის დოკუმენტაციის მოწესრიგება ;
ი) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სხვა მითითებების შესრულება.

**13.** ოპერატიული მართვის ცენტრის ფუნქციებში შედის:
ა) უნივერსიტეტის ობიექტებზე არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, დანიშნულებისამებრ სწორად გადამისამართება, შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება სპეციალურ ჟურნალში;
ბ) სამსახურში ინსპექტორების დროულად გამოცხადებაზე და მათ მიერ შემოვლა-შემოწმების განხორციელებაზე კონტროლი, შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება სპეციალურ ჟურნალში;
გ) უნივერსიტეტის ობიექტებზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო მოწყობილობების მეშვეობით არსებული ვითარების გაკონტროლება და შინაგანაწესის დარღვევის, ანდა სხვა პრობლემატური შემთხვევების გამოვლენისას შესაბამისი პასუხისმგებელი პირის დაუყოვნებლივი ინფორმირება, მიღებული მითითებების შესრულება, შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება სპეციალურ ჟურნალში;
დ) დანაშაულებრივი ხელყოფის ან აღნიშნული ხელყოფის საფრთხის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოებისთვის და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელობისთვის მყისიერი შეტყობინება;
ე) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სხვა მითითებების შესრულება.

**14.** ტექნიკური დაცვის ჯგუფის ფუნქციებში შედის:
ა) სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აღნიშნული მიზნით პირადი შემადგენლობისათვის შესაბამისი სწავლების ჩატარება, სახანძრო უსაფრთხოების გეგმების შემუშავება და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან წარმოდგენა;
ბ) ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის, კერძოდ, სახანძრო ონკანების, ცეცხლმაქრების და სხვა ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების მუდმივად გამართულ მდგომარეობაში ქონა;
გ) სახანძრო უსაფრთხოების კუთხით საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ფუნქციების განხორციელება;
დ) დაცვის ტექნიკური საშუალებების: ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო სისტემების მონტაჟი – დემონტაჟი. დაცვის ტექნიკური საშუალებების სწორ ექსპლუატაციაზე ზედამხედველობა;
ე) უსაფრთხოების მიზნით უნივერსიტეტის ობიექტების გარე და შიდა განათების ნორმალურ მუშაობაზე კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დროული რეაგირება;

ვ) საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის დავალებით უნივერსიტეტის კორპუსებში განლაგებული ოთახების, საცავების და ა.შ. დალუქვა;
ზ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სხვა მითითებების შესრულება.
**15.** ეფექტური დაცვის მიზნით უნივერსიტეტის ობიექტები ერთიანდებიან სექტორებში. სექტორის ხელმძღვანელობას ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს სექტორის უფროსი. სექტორის ხელმძღვანელის ფუნქციებია:
ა) გაუწიოს კოორდინაცია სექტორში შემავალ ობიექტების დაცვის ცვლის უფროსებს და რიგით თანამშრომლებს. მისადმი დაქვემდებარებულ პირებს მისცეს შესაბამისი მითითებები და დავალებები სამსახურის უფროსთან, მის მოადგილესთან, მორიგე ინსპექტორთან და ოპერატიული მართვის ცენტრთან შეთანხმებით;
ბ) სექტორში შემავალ ობიექტებზე რეგულარული შემოვლების გაკეთება და უსაფრთხოების სამსახურის მართვის ცენტრისათვის ობიექტებზე არსებული ვითარების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება;
გ) სექტორში შემავალი ობიექტების დაცვის, უნივერსიტეტის თანამშრომელთა, სტუდენტთა და გარეშე პირთა მიერ შინაგანაწესით და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის ფაქტების გამოვლენა-აღკვეთა და სამსახურის ხელმძღვანელობისათვის ინფორმაციის სწორად და სრულყოფილად მიწოდება;
დ) უნივერსიტეტის მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან ერთად კოორდინირებული მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილზე არსებული პრობლემების შესახებ დროული ინფორმირება;
ე) ცვლის უფროსებთან და ტექნიკური დაცვის ჯგუფის სპეციალისტებთან ერთად სექტორში შემავალი ობიექტების ტექნიკური და ფიზიკური დაცვის პროექტების შემუშავება და ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;
ვ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის სხვა მითითებების შესრულება.
**16.** უნივერსიტეტს ობიექტს ან სექტორს ჰყავს ცვლის უფროსი, რომელიც არის რიგითი ინსპექტორების უშუალო ხელმძღვანელი, რომელიც უფლებამოსილებას ახორციელებს შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და ექვემდებარება შიდა ინსპექტირების, პირად შემადგენლობასთან მუშაობის და ღონისძიებების უსაფრთხოების ჯგუფის შემადგენლობაში მყოფ მთავარ და უფროს სპეციალისტებს. ცვლის უფროსი აღჭურვილია ინსპექტორის უფლება – მოვალეობებით და დამატებით ახორციელებს პირველადი კონტროლის და კოორდინატორის ფუნქციებს. ცვლის უფროსი წარმოადგენს უშუალო ხელმძღვანელს ცვლაში მომუშავე დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომლებისათვის, პასუხს აგებს სამსახურში ინსპექტორების დროულად გამოცხადებაზე, დაკისრებული ამოცანების სწორად და ეფექტურად განხორციელებაზე, ახდენს მყისიერ რეაგირებას გამოვლენილ პრობლემებზე და დადგენილი წესის შესაბამისად დაუყოვნებლივ ახსენებს ოპერატიული მართვის ცენტრს ან დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელობას.
**17.** უნივერსიტეტის ობიექტების ფიზიკურ დაცვას, უწყვეტად დღე-ღამის განმავლობაში, ხელშეკრულების საფუძველზე, ახორციელებენ დაცვის თანამშრომლები (ინსპექტორები), რომელთა ფუნქციები და უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია წინამდებარე დებულების შესაბამისად შრომით ხელშეკრულებაში. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ინსპექტორი აღჭურვილია შემდეგი უფლება-მოვალეობებით:

ა) განუწყვეტლივ იმყოფებოდეს დასაცავ კორპუსში, ყურადღებით, აკონტროლოს კორპუსი, ელექტროდამცავი და სახანძრო სიგნალიზაციის მუშაობა, კარგად იცოდეს კორპუსში კაბინეტებისა და აუდიტორიების განლაგება და თავისებურებანი. დაიცვას მასზე მიმაგრებული კორპუსის ქონება დაზიანებისაგან, გაძარცვისაგან, ხანძრისაგან ანდა სხვაგვარი ავარიისაგან. პერიოდულად გააკეთოს შემოვლები კორპუსში და კორპუსის ირგვლივ, განსაკუთრებით ღამის საათებში;

ბ) სამსახურში ყოფნისას დაიცვას შინაგანაწესი, ეთიკის ნორმების შესაბამისად მოიქცეს უნივერსიტეტის თანამშრომლებთან, სტუდენტებთან და უნივერსიტეტში სტუმრად მოსულ პირებთან ურთიერთობაში;

გ) უნივერსიტეტში შინაგანაწესის შესაბამისად, აღკვეთოს ნებისმიერი დარღვევა, მათ შორის, კორპუსში ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები, არ დაუშვას კორპუსში რაიმე ინვენტარის ან ნივთის შემოტანა–გატანა ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე;

დ) მკაცრად დაიცვას და სხვასაც მოსთხოვოს დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების წესები, რომლებიც გამორიცხავენ ხანძრებისა და აალების შემთხვევებს;

ე) დაცვის და უსაფრთხოების სამსახურის სხვა თანამშრომლებთან ერთად მიიღოს ზომები დასაცავ ობიექტზე შეღწეული პირის დასაკავებლად;

ვ) სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, ადმინისტრატორთან ერთად შეამოწმოს კორპუსი და როდესაც დარწმუნდება კორპუსის დაცულობაში და სიგნალიზაციის გამართულ მუშაობაში, ჩაიბაროს კორპუსი, რაზედაც უნდა გააკეთოს ჩანაწერი მიღება–ჩაბარების ჟურნალში;

ზ) დაუყოვნებლივ შეასრულოს ხელმძღვანელობის მითითებები;

თ) საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეებს აღმოუჩინოს გადაუდებელი პირველადი დახმარება;

ი) დანაშაულებრივი ფაქტების აღმოჩენის, კონფლიქტური სიტუაციების ან სხვა გართულებების შემთხვევაში მყისიერად აცნობოს ოპერატიული მართვის ცენტრს;

კ) შეასრულოს ხელმძღვანელობის სხვა მითითებები.

18. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი და უფროსი სპეციალისტი.

**მუხლი 5. დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საფუძვლები**

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტში დადგენილი სამართლებრივი აქტების წინამდებარე დებულებისა და სამუშაოთა აღწერილობის საფუძველზე.

**მუხლი 6. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.